ლელო

№24
(10984)

25-28 მაისი. 1996 წ. ფასი 25 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ატლანტაში XXVI ოლიმპიადის გახსნამდე 56 დღე რჩება

წარმოგიდგენთ საქართველოს სპორტსმენებს, რომლებმაც მოიპოვეს ატლანტაში ასპარეზობის ლიცენზია. **ძიუდო:** გ. ვაზაგაშვილი, გ. რევაზიშვილი, ს. ლიპარტელიანი, ვ. დგებუაძე, მ. ლობჟანიძე, დ. ხახალეიშვილი, გ. წმინდაშვილი (ამჟამად ნაკრები ბათუმშია შეკრებაზე). **თავისუფალი ჭიდაობა:** ა. გოგოლიშვილი, ზ. ტყეშელაშვილი, ზ. თურმანიძე, ე. კურტანიძე (გუნდი თბილისშია შეკრებაზე. 29 მაისს გაემგზავრება ლაიფციგში საერთაშორისო ტურნირზე). **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა:** გ. პაპაშვილი, კ. გულიაშვილი, ტ. მელელაშვილი, ბ. გოგიტიძე (გუნდი კისლოვოდსკშია შეკრებაზე, ემზადება პოლონეთის საერთაშორისო ტურნირისთვის). **კრივი:** ბ. ვარძელაშვილი, თ. მესხაძე, კ. გოგოლაძე, გ. კანდელაკი, ა. კაკაურიძე (ამჟამად ემზადებიან თბილისში). **ძალოსნობა:** ბ. მიქიაშვილი, მ. გოგია (შეკრებაზე არიან ფასანაურში), **ტყვიის სროლა** — ნ. სალუქვაძე (მას მოპოვებული აქვს ორი ლიცენზია, მეორე კანდიდატურა შეირჩევა. სალუქვაძე და უჩაძე გერმანიაში მიემგზავრებიან მსოფლიო თასის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად). **მშვილდოსნობა** — ხ. ქვრივიშვილი (28 მაისს გაემგზავრება გერმანიაში, მსოფლიო „გრან-პრის“ ასპარეზობაზე). **წყალში ხტომა** — გ. გახარია (ემზადება ატლანტაში, იქვე დარჩება ოლიმპიადამდე). **სპორტული ტანვარჯიში** — ვ. გიორგაძე, **მხატვრული ტანვარჯიში** — ე. აბრამია. **თანამედროვე ხუთჭიდი** — ვ. იაგორაშვილი (ემზადება აშშ-ში). **აფროსნობა:** გ. ბიგანიშვილი, ვ. გრუზდევი (ამჟამად გამოდიან საერთაშორისო რეგატაში ჰოლანდიაში). **ჩოგბურთი** — ლ. მესხი. **მძლეოსნობა** — მ. აზარაშვილი.

● **მექსიკის** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა მარიო ვასკეს რანიამ განაცხადა, რომ ეკონომიკური გაჭირვების მიუხედავად, მოხერხდა ატლანტის ოლიმპიადაზე. გამორჩეულ სპორტსმენთა დასაჯილდოებლად საჭირო თანხების გამოძებნა. რანიას განმარტებით ჩემპიონი საჩუქრად მიიღებს 50 ათას დოლარს, ვერცხლის პრიზიორი — 30, ბრინჯაოს პრიზიორი კი 15 ათას დოლარს. შესაბამისად ჯილდოებს მიიღებენ მწვრთნელებიც 15, 10, 5 ათასი დოლარის ოდენობით. მექსიკის ოლიმპიური კომიტეტი ატლანტაში 100 სპორტსმენის გაგზავნას ვარაუდობდა, არადა, ოლიმპიური ნორმატივი ჯერ მხოლოდ 61-მა სპორტსმენმა შეასრულა. შეგახსენებთ, რომ წინა ოლიმპიადაზე (ბარსელონაში) მექსიკელებმა მხოლოდ ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს 50 კილომეტრზე სიარულში.

● **ქალაქ** გრიუნვალდში (გერმანია) მოხდა სენსაციური ქურდობა. საჩოგბურთო სტადიონიდან, რომელზეც გერმანიის ქალთა ჩემპიონატი მიმდინარეობდა მოიპარეს ოლიმპიური ჩირაღდანი (რიგითი ნომერი — 51). ეს ჩირაღდანი უნდა გაეტარებინათ ატლანტის ქუჩებში „ცეცხლოვანი ესტაფეტის“ ერთ-ერთ ეტაპზე, მანამდე კი გრიუნვალდის საჩოგბურთო სტადიონზე ინახებოდა. ქალაქის ხელმძღვანელობამ ნაქურდალის დაბრუნების მიზნით გადაწყვიტა გამოიყენოს ფულადი სტიმულატორების ხერხი და გარკვეული თანხა შესთავაზოს იმას, ვინც ჩირაღდნის ადგილსამყოფელზე მიუთითებს.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კალათბურთში ● ვაჟები

ხუთშაბათსა და პარასკევს, მეტოქეთაგან ერთ-ერთი გუნდის ორგზის წარმატების შემთხვევაში საბოლოოდ უნდა გარკვეულიყო ჩემპიონისა და საპრიზო ადგილებზე გასული გუნდების ვინაობა. მესამე ადგილისათვის გამართულ პირველ მატჩში როგორც მოსალოდნელი იყო, სდასუსთან პაექრობაში გაიმარჯვა „ქიმიკოსმა“ 58:44. რუსთაველებმა მეორე დღესაც შეძლეს სტუდენტური გუნდის დამარცხება და ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ. საყოველთაო ინტერესს იწვევდა „ვითასა“ და „დინამოს“ შეხვედრები. სპეციალისტები და გულშემატკივრები „ვითას“ უწინასწარმეტყველებდნენ გამარჯვებას, მაგრამ პირველი მატჩის პირველ ნახევარში დინამოელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს და ერთი პერიოდი 3 ქულით წინ გასვლაც მოახერხეს, მაგრამ ტაიმის ბოლოს „ვითამ“ ტემპს მოუმატა და შესვენებამდე ორი ქულით დაწინაურდა. 42:40. მეორე ტაიმი მთლიანად „ვითას“ უპირატესობით წარიმართა, განსაკუთრებით გამოირჩეოდა სანაძე, რომლის სამქულიანებს დინამოელებმა ვერაფერი მოუხერხეს, შენგელიასთან ორთაბრძოლა კი აშკარად დათმო ბერძენიშვილმა. დინამოელთაგან გამოირჩეოდა მათი კაპიტანი დარსაძე. საბოლოოდ „ვითამ“ გაიმარჯვა 89:76.

დრამატულად და დაძაბულად წარიმართა „ვითა“ — „დინამოს“ განმეორებითი მატჩი. დინამოელებმა აღმავლობით ითამაშეს და მაინც, მატჩის ბოლო წუთზე მისი ბედი ბეწვზე ეკიდა, როცა ანგარიშში გახდა 74:73. საბოლოოდ დინამოელებმა მაინც მიაღწიეს წარმატებას — 77:73.

მესამე გადამწყვეტი მატჩი ამ გუნდებს შორის ჩატარდება 27 მაისს.

სურათზე: „დინამო“ — „ვითას“ შეხვედრის მომენტი. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

26 მაისს, თბილისში, ეროვნულ სტადიონზე გაიმართება ფეხბურთში საქართველოს თასის ფინალური მატჩი „დინამოს“ თბილისელ და ბათუმელ თანაკლუბელთა შორის.

დასწრება თავისუფალია

რუდი ფელერი გამოეთხოვა ფეხბურთს

დიდ ფეხბურთს გამოეთხოვა ცნობილი ფეხბურთელი, სახელგანთქმული გერმანელი ოსტატი, ბრემენის „ვერდერისა“ და გერმანიის ეროვნული ნაკრების მოთამაშე, 36 წლის რუდი ფელერი.

რუდი ფელერი გამოჩენილი ფიგურაა საერთაშორისო ფეხბურთში. პროფესიონალი მოთამაშის კარიერა დაიწყო „კიკერსში“, შემდეგ გამოდიოდა „ვერდერში“, იტალიის „რომაში“, საფრანგეთის „ოლიმპიკში“, ლევერკუზენის „ბაიერში“, იყო გერმანიის ახალგაზრდული გუნდის წევრი, 90 თამაში წარმართა ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში, გაიტანა 46 გოლი, იყო მაღალი კვალიფიკაციის თავდამსხმელი.

ამ დღეებში ქ. ლევერკუზენში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა საკუთრივ ფელერის მიერ შედგენილ გუნდსა და გერმანიის ნაკრებს შორის. ფელერის მხარდამხარ გამოდიოდნენ მათეუსი, ბერტოლდი, ბოლი, ბუხვალდი, ლიტბარსკი, ბრემე, რიცტელი, ჯანინი და სხვა გამოჩენილი ფეხბურთელები. თამაში მოიგეს გერმანელებმა — 3-1 და ეს ერთადერთი ბურთი მეტოქის კარში ფელერმა გაიტანა. აღსანიშნავია, რომ მან პირველი ტაიმი ითამაშა „თავის“ გუნდში, ხოლო მეორე — გერმანიის ნაკრებში.

„იუვენტუსმა“ დაუმტკიცა „აიაქსს“...

არა გვგონია პლანეტის საფეხბურთო საზოგადოებრიობაში ვინმე დარჩენილიყო ისეთი, ვინც მოუთმენლად არ ელოდა ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩს ტურინის „იუვენტუსსა“ (იტალია) და ამსტერდამის „აიაქსს“ (ჰოლანდია) შორის. ჩემპიონთა თასი ევროპაში, და მასთან ერთად მთელს მსოფლიოშიც, ერთ-ერთი პირველი რანგის შეჯიბრებაა, მისი ფინალი კი — საყოველთაო ყურადღების ობიექტი, ამიტომაც მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლაცია მიმდინარეობდა 196 ქვეყანაში, მით უფრო, რომ საპატიო პრიზს ერთმანეთს ეცილებოდა ორი ჭეშმარიტი გრანდი „იუვენტუსი“ და „აიაქსი“.



სხვათა შორის, ეს ორი კლუბი ესპანეთის „ბარსელონასა“ და გერმანიის „ბაიერნთან“ ერთად სხვადასხვა წლებში ფლობდა ევროპის სამივე პრიზს: ჩემპიონთა თასების მფლობელთა და უეფას თასებს. გარდა ამისა ჩემპიონთა ლიგის ფინალებში „აიაქს“ არ წაუგია არც ერთი შეხვედრა: ოთხჯერ გავიდა გადამწყვეტ ეტაპზე და ოთხჯერვე გაიმარჯვა.

„აიაქსი“ და „იუვენტუსი“ ერთხელ უკვე იყვნენ ნათამაშევი ფინალში 1973 წელს, მაშინ „აიაქსმა“ გაიმარჯვა მინიმალური ანგარიშით 1-0.

მატჩს დიდი აჟიოტაჟი უძღოდა წინ, მიმომხილველები ხაზს უსვამდნენ, რომ ჰოლანდიელთა რიგებში მინდორზე ვერ გამოვიდოდა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე და, გარდა ამისა, „იუვენტუსი“ ფაქტიურად შინ თამაშობდა — იტალიის დედაქალაქში. ესეც გარკვეული უპირატესობაა.

ასეა თუ ისე, ფინალური მატჩი შედგა, ეს იყო უკიდურესად დაძაბული, ნერვული, უშეღავათო ბრძოლა, დათმობას არც ერთი მხარე არ აპირებდა, თამაში გაგრძელდა 120 წუთს (დამატებითი დრო), ამ ხანში მინდორზე ოდნავადაც არ დამცხრალა შეუპოვარი იერიშები.

პირველ წარმატებას მიაღწიეს იტალიელებმა: მე-13 წუთზე „აიაქსის“ მეკარე ვან დერ სარი უდროოდ გამოვიდა წინ და რავანელიმ უმალ გამოიყენა მისი ეს შეცდომა. 1-0. საპასუხო გოლი 41-ე წუთზე გაიტანა ლიტმანენმა — 1-1.

დარჩენილ დროში ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა, ესპანელი მსაჯი მანუელ დიას ვეგა იძულებული იყო მატჩისშემდგომი დამატებითი 11-მეტრიანები დაენიშნა. აქ კი თავი გამოიჩინა „იუვენტუსის“ მეკარემ ანჯელო პერუცციმ, მან მოიგერია დავიდსისა (პირველი) და სილვა (მეოთხე) დარტყმები და გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს. იტალიელებმა ოთხივეჯერ ზუსტად შეასრულეს 11-მეტრიანები (ფერარა, პესოტო, პადოვანო, იუგოვიჩი) და საქმეც ამით მოთავდა — 4-2.

აქ არ შეიძლება არ გაიხსენო 1986 წლის ლიგის ჩემპიონთა ფინალური მატჩი ბუქარესტის „სტიაუასა“ და ესპანეთის „ბარსელონას“ შორის, როცა რუმინელთა მეკარემ დუკადამმა 4 პენალტი მოიგერია და „სტიაუას“ წარმატებაც განაპირობა. 22 მაისს ეს პრეცედენტი განმეორდა.

უსაზღვრო იყო გამარჯვებულთა სიხარული. „იუვენტუსმა“ ფინალური შეხვედრა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: პერუცი, ფერარა, პესოტო, ტორიჩელი, ვიერხოვოდი, პაოლო სოუზა (დი ლივიო), დეშამი, კონტე (იუგოვიჩი), ვიალი, დელ პიერო, რავანელი (პადოვანო). მწვრთნელი მარჩელო ლიპი.

პრესა ყველაზე იაფად და ოპერატიულად ადგილზე მიწოდებით

„ექსპრესი“

რუსთაველის 52.
☎ 93-66-78

აგრძელებს ხელმოწერას როგორც ქართულ და რუსულ, ასევე ევროპისა და ამერიკის წამყვან ჟურნალ-გაზეთებზე.

იჩქარეთ! ჩვენი მომსახურეობით კმაყოფილნი დარჩებით.

«ბოსმანის საქმემ» ევროპული კალათბურთიც შეაჯანჯღარა

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიბა) კონფერენციამ განიხილა „ბოსმანის საქმესთან“ დაკავშირებული საკითხები და მიიღო სათანადო გადაწყვეტილებები. მთავარი მათში გახლდათ ის, რომ თავისუფალი გადასვლის პრინციპი ვრცელდება მხოლოდ ევროგაერთიანებაში შემავალი ქვეყნების კალათბურთელებზე (ეს ქვეყნებია: ავსტრია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ჰოლანდია, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, პორტუგალია, ფინეთი, საფრანგეთი, შვეცია), აგრეთვე ევროგაერთიანების ეკონომიკური ზონის ქვეყნებზე (ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია).

კალათბურთელს, რომელიც არ ცხოვრობს აღნიშნულ სივრცეში, მაგრამ აქვს სურვილი ითამაშოს ევროგაერთიანებაში შემავალ ერთ-ერთი რომელიმე ქვეყნის კლუბში, უსათუოდ უნდა გახდეს ამ ქვეყნის მოქალაქე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლეგიონერად ჩაითვლება.

კონფერენციამ ფიბა-ს ევროპული სექციის პრეზიდენტის პოსტზე აირჩია ესპანელი ერნესტო სეგურა დე ლუნა, რომელსაც მანამდე ესპანეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობა ეკავა.

კონფერენციამ მიიღო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება: ევროპის საკალათბურთო სივრცე დაჰყო „დასავლეთ“ და „აღმოსავლეთ“ ნაწილებად. ამ დაყოფის საფუძველზე შედგება ძველი სამყაროს „ყველა ვარსკვლავის“ ორი გუნდი, რომელიც 1996 წლის 30 დეკემბერს გამართავს თავის პირველ ოფიციალურ შეხვედრას.

„დასავლეთი“ (25 ქვეყანა). ანდორა, ავსტრია, ბელგია, ჩეხეთი, დანია, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, გიბრალტარი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, მალტა, მონაკო, ჰოლანდია, ნორვეგია, პორტუგალია, სან-მარინო, შოტლანდია, სლოვენია, ესპანეთი, შვეცია, შვეიცარია, უელსი.

„აღმოსავლეთი“ (25 ქვეყანა). ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ესტონეთი, ფინეთი, მაკედონია, **საქართველო**, საბერძნეთი, უნგრეთი, ისრაელი, ლატვია, ლიტვა, მოლდოვა, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, სლოვაკეთი, თურქეთი, უკრაინა, ჩეხეთი, იუგოსლავია.

მატჩში მონაწილეობას მიიღებს 24 კალათბურთელი. ამათგან 20-ს მაინც უნდა ჰქონდეს ევროპული პასპორტი. დანარჩენი 4 მოთამაშე შეიძლება იყოს არაევროპული ქვეყნის წარმომადგენელი. თექვსმეტ კალათბურთელს შეარჩევენ კენჭისყრით. დანარჩენებს კი თვითონ ფიბა გაუწევს რეკომენდაციას.

FAIR PLAY

ვაგრძელებთ „სამართლიანი თამაშების“ ლაურეატთა წარმოდგენას

1965 წ. ჟაკ როგი (ბელგია) — აფროსნობა

14 მარტს ლანგებრუგში ჟაკ როგმა გადაარჩინა მეტოქეთა ეკიპაჟი, რომელთა ნავი გადაყირავდა. ამით როგემ წარმატების ყველა შანსი დაკარგა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებაში.

1966. სტივენ ხორვატი (იუგოსლავია) — ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

აშშ-ში, კერძოდ, ტოლედოში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო პირველობაზე, სტივენ ხორვატს წარმატების დიდი შანსი გაუჩნდა. მისმა ორმა უახლოესმა მეტოქემ, სიტუაციიდან გამომდინარე, შეთანხმებულად იჭიდავეს, რათა პირველობისკენ გზა გადაელობათ ხორვატისთვის. თუ მსაჯთა კოლეგია ორივე მათგანს შეჯიბრებიდან მოხსნიდა, ხორვატი უბრძოლველად ცხადდებოდა ჩემპიონად. მაგრამ იუგოსლაველ ფალავანს არ სურდა ასეთი ჩემპიონობა და დაჟინებით მოითხოვა მსაჯთა კოლეგიას არ მიეღო მეტოქეთა მიმართ უკიდურესი ზომები, არ მოეხსნა ისინი შეჯიბრებიდან. თხოვნა გაითვალისწინეს. ხორვატმა რაინდულ პაექრობაში მოიპოვა ჩემპიონობა.

შეეძლო ვერცხლის მედალი აეღო, მაგრამ წმინდად უნდა წაეგო

მელბურნში XVI ოლიმპიურ თამაშებში შეიქმნა ასეთი სიტუაცია: რომან ძნელაძეს, როგორც ახალგაზრდა და გამოუცდელ ფალავანს, ფინალში უნგრელ პოიაკთან მოგების არავითარი შანსი არ გააჩნდა, მაგრამ თუ იგი წმინდად დამარცხდებოდა, ვერცხლის მედალს მიიღებდა, ქულებით დამარცხების შემთხვევაში კი მესამე ადგილზე გავიდოდა. რომანმა არ აირჩია იოლი გზა, შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს, დამარცხდა ქულებით და ბრინჯაოს მედალი ხვდა.

რა ხდება ქვეყანაზე

● **ინდიანაპოლისში**, 37 წლისა გარდაიცვალა ინდიკარის სერიის ერთ-ერთი პოპულარული ავტომობილისტი სკოტ ბრაიტონი. მისი მანქანა „ლოლამენარდი“ საათში 378 კილომეტრის სისწრაფეზე შეასკდა ბეტონის ჯებირს. ბრაიტონი გარდაიცვალა ადგილზე, საავადმყოფოში მიყვანამდე. მას მონაწილეობა ჰქონდა მიღებული 148 „გრანპრიში“. სამწუხაროდ, მეთხუთმეტე სტარტი „ინდიკარში“ ასე ტრაგიკულად დამთავრდა. როგორც სტატისტიკოსებმა დაადგინეს, 1909 წლიდან მოყოლებული ინდიანაპოლისში 66 კაცი დაიღუპა (ავტომობილისტი, მექანიკოსი, მაყურებელი).

● **ადრე** აღმოსავლეთ გერმანიის სპორტული ფუნქციონერები უმაღლესი შედეგების ჩვენების მიზნით არაფერს თაკილობდნენ. განსაკუთრებით აქტიური იყო ექიმი ქალი გუდრუნ ფრენერი, რომელიც სხვადასხვაგვარი ანაბოლიკებითა და აკრძალული პრეპარატებით ამარაგებდა გდრ-ის ოლიმპიური გუნდების წევრებს. სხვათა შორის, მას ამჟამადაც საკმაოდ მაღალი თანამდებობა უკავია ლაიფციგის გამოყენებითი სპორტული მედიცინის ინსტიტუტში. სამართალდამცველმა ორგანოებმა დაიწყეს მისი საქმის შესწავლა.

● **მსოფლიოს** ექსჩემპიონი „ფორმულა-1“-ში, ლეგენდარული ავსტრიელი მრბოლი ნიკი ლაუდა თორმეტწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ შეუდგა ავტომანქანების ტესტირებას. გერმანიაში ჰოკენჰაიმის ავტოდრომზე მან გამოსცადა „მერსედესის“ ახალი მანქანა და კმაყოფილი დარჩა მისი ტექნიკური მაჩვენებლებით. კმაყოფილებას არ მალავენ ფირმის ხელმძღვანელებიც, ვინაიდან უკეთესი „ტესტ-პილოტის“ ნატვრაც არ შეიძლებოდა.

● **ხანგრძლივი** და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 55 წლისა გარდაიცვალა ევროპის ორგზის ჩემპიონი კრივში (1967, 69), საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი და რუსეთის კრივის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი ვალერი ფროლოვი.

● **ბელორუსიის** ტურიზმისა და სპორტის სამინისტრომ ამერიკული ფირმის „ჰევლეტ პაკარდის“ ხელშეწყობით შეიძინა ანტისადოპინგო კომპლექსი, რომელიც შექმნილია ცნობილი გერმანელი სპეციალისტის, პროფესორ მანფრედ დონიკეს პროექტით. სპეციალისტების აზრით მისი ტექნიკური შესაძლებლობები გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე მოსკოვის ანალოგიური კომპლექსისა.

● **ცნობილი** იტალიელი სამთომოთხილამურე ალბერტო ტომბა სარბიელიდან წასვლას აპირებს: „მე ვიყავი სამი ოლიმპიადის მონაწილე, მეოთხისთვის, როგორც ჩანს, ძალ-ღონე არ მეყოფა. ტომბას რამდენიმე ხელსაყრელი წინადადება აქვს კინოსტუდიებისაგან. ოღონდ მას ჯერ ინგლისურ ენაში დახელოვნება და დიქციის სრულყოფა სჭირდება. როგორც თავად ამბობს, ფილმი და როლი უკვე შერჩეული აქვს და ამ დღეებში თავის გეგმებს გააცნობს პრესას.

რა ხდება ქვეყანაზე

ნბა-ს ამბები

● **გამოცხადდა** ახალბედა მოთამაშეთა ორი სიმბოლური ნაკრების შემადგენლობა. პირველ გუნდში მოხვდნენ: სეზონის საუკეთესო დებიუტანტი დეიმონ სტადემაიერი („ტორონტო“) — 56 ქულა, ჯო სმითი („გოლდენ სტეიტი“) — 54, ჯერი სტეკჰაუზი („ფილადელფია“) — 52, ანტონიო მაკდაისი („დენვერი“) — 50, მაიკლ ფინლი („ფინიქსი“) — 41 და არვიდას საბონისი („პორტლენდი“) — 41. ფინლიმ და საბონისმა მეხუთე ადგილები გაიყვეს ხმების ერთნაირი რაოდენობით, ამიტომ ხუთეულში ექვსი კალათბურთელი აღმოჩნდა. ნბა-ს ისტორიაში ეს მესამე შემთხვევაა. მეორე ხუთეულში ყველაზე ბევრი ქულა კევინ გარნეტმა („მინესოტა“) დააგროვა — 35.

● **სირაკიუსში** (ნიუ-ჯერსის შტატი) გაიმართა ყოველწლიური დრაფტი-ლატარია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო „პლეი-ოფის“ მიღმა დარჩენილმა თორმეტმა გუნდმა. ლატარიის შედეგად განაწილდა ძირითად დრაფტში მონაწილე გუნდების (გაიმართება 26 ივნისს) თანმიმდევრობა. პირველი ნომერი ერგო „ფილადელფიას“, ბოლო სამ ადგილზე კი არიან ფავორიტები — „ორლანდო“, „სიეტლი“ და „ჩიკაგო“. გთავაზობთ მომავალ დრაფტში მონაწილე რამდენიმე კალათბურთელის გვარს: მარკუს კემბი (მასაჩუსეტსის უნივერსიტეტი), ალენ აივერსონი (ჯორჯტაუნი), რეი ალენი („კონექტიკუტი“), სტეფონ მარბერი (ჯორჯია), კერი კიტლზი (ვილანოვა), ენტონი უოლკერი (კენტუკი), ჯონ უოლესი (სირაკიუსი).

შეხვედრა წარსულთან
ჩვენი სიყრმის საყვარელი გუნდი — თბილისის „სპარტაკი“

ლენინგრადში ადგილობრივ „დინამოსთან“ ფრედ (0-0) თამაშის შემდეგ დაიწყო გასვლითი თამაშების ახალი სერია: წაგება ცდსა-სთან — 1-4 (ა. პაიჭაძის გოლი, 1 ივლისი), ფრე რიგის „დაუგავასთან“ — 1-1 (ა. პაიჭაძე, 5 ივლისი), წაგება მინსკში — 0-3 (12 ივლისი).

16 ივლისს კი გაიმართა მატჩი ლენინგადში „ზენიტთან“. რადიორეპორტაჟი თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე დაიწყო და ადგილობრივმა დიქტორმა გვამცნო, რომ ანგარიშია 4-1... (პაუზა) თბილისელთა სასარგებლოდ. ყურებს არ ვუჯერებდით! ბურთები გაიტანეს პაიჭაძემ, გამყრელიძემ და 2 — ი. ბურჭულაძემ. კარში კი განთქმული ლეონიდ ივანოვი იდგა.

ასეთი იყო თბილისში იგივე ანგარიშით წაგების რევანში.

მწვავედ და საინტერესოდ წარიმართა შეხვედრა მოსკოვში, „ტორპედოსთან“ (19 ივლისს). ჩვენებმა 3 ბურთი გაიტანეს (არონშიძე, კ. გაგნიძე, პაიჭაძე), მაგრამ მაინც წააგეს 3-4.

ინტერესით და შიშით მოველოდით შეხვედრას მოსკოვის ვვს-თან (25 ივლისს), რომლის თავდასხმის ლიდერიც იყო მრისხანე ვსევოლოდ ბობროვი. ჩვენ ბედად ბობროვმა ფეხი იტკინა და უკვე მე-5 წუთზე დატოვა მოედანი. მის მაგივრად მოედანზე გამოვიდა... სპარტაკ ჯეჯელავა (!). ვვს-ს იმხანად ავარჯიშებდა მისი უფროსი ძმა გაიოზი და საპატიო მე-4 ადგილზეც გაიყვანა გუნდი.

თამაში ორმხრივი იერიშებით წარიმართა. გ. არონშიძის გოლს მოსკოველებმა ს. ჯეჯელავას თავური დარტყმით უპასუხეს (1-1). ბრწყინვალედ ითამაშეს მეკარეებმა: თბილისელმა (!) ჟმელკოვმა და მოსკოველმა (!) პირაევმა.

შემდგომი თამაში კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“ (თბილისი, 30 ივლისი), გარდა დამაჯერებელი გამარჯვებისა — 4-1, აღინიშნა 19 წლის ზაურ კალოევის დებიუტითა და გოლით! სამი დანარჩენი გაიტანეს კ. გაგნიძემ (2) და ვ. ლომაიამ. ვერა და ვერ გატეხეს ნავსი ჩვენმა ბიჭებმა სტალინგრადის „ტორპედოსთან“ შეხვედრაში (3 აგვისტო) — წააგეს იმავე ანგარიშით, რაც პირველ წრეში — 0-1.

სამაგიეროდ, მომდევნო ოთხ შეხვედრაში შვიდი ქულა აიღეს.

ძალზე ეფექტური იყო მოგება მოსკოვის „სპარტაკთან“ (8 აგვისტო). დებიუტანტ შ. ალფაიძის გოლი გაქვითა ცნობილმა ფორვარდმა ნ. სიმონიანმა და როცა თამაშის დამთავრებამდე ბევრი დრო აღარ იყო დარჩენილი, გ. არონშიძემ გაიტანა გადამწყვეტი ბურთი (2-1).

ბრწყინვალედ ითამაშეს ამ შეხვედრაში ჟმელკოვმა — თავისი ყოფილი თანაკლუბელების წინააღმდეგ — და ა. კილაძემ, რომელმაც მთლიანად გამოთიშა მოსკოველთა მთავარი „დისპეჩერი“ — ცნობილი ნ. დემენტიევი.

ძალზე დრამატულად წარიმართა შემდეგი შეხვედრა ბაქოს „ნეფტიანიკთან“ (თბილისი, 12 აგვისტო), პირველი ტაიმი ჩვენებმა პირწმინდად წააგეს 0-2, მაგრამ უკვე მეორე ტაიმის დასაწყისში ანგარიში გათანაბრდა (არონშიძე და გამყრელიძე), ხოლო 75-ე წუთზე მიზანს მიაღწია ი. შუდრას შორეულმა დარტყმამ — 3-2 და თამაშის დამთავრებას აღარაფერი აკლდა, რომ ბაქოელმა კალაშიანმა გაათანაბრა ანგარიში 3-3. ამას მოჰყვა ზედიზედ ორი გამარჯვება თბილისში 16 აგვისტოს ხარკოვის „ლოკომოტივთან“ — 1-0 (კ. გაგნიძის გოლი) და სტალინოში (დღევანდელ დონეცკში, 29 აგვისტო) 2-0 (გოლები გაიტანეს ი. ბურჭულაძემ და ვ. ბერეჟნოიმ), რის შემდეგაც ჩვენმა გუნდმა დააღწია თავი „საშიშ ზონას“.

მართალია, ამას მოჰყვა დამარცხება მოსკოვში — „დინამოსაგან“ (24 აგვისტო) — 1-5, — ერთადერთი გოლი ა. პაიჭაძემ გაიტანა, მაგრამ დარჩენილი 7 თამაში „სპარტაკმა“ წაუგებლად ჩაატარა, მოაგროვა მათში 10 ქულა, საბოლოო ჯამში — 37 და დაიკავა მე-9 ადგილი 19 გუნდს შორის.

მოკლედ, ამ თამაშების შესახებ: მოგება მოსკოვში (!) ადგილობრივ „ლოკომოტივთან“ (27 აგვისტო, 1-0, ლომაია), ფრე კიევში (31 აგვისტო, 1-1, გამყრელიძე), 5 სექტემბერს კი გაიმართა ის შეხვედრა, რომლის შესახებაც დასაწყისში ითქვა და რომელშიც მაყურებლები გულშემატკივრობდნენ არა თავის საყვარელ გუნდს „დინამოს“, არამედ მის მეტოქეს თბილისის „სპარტაკს“ (შესაძლოა, ეს იმით აიხსნება, რომ იმ დღეს „დინამოს“ შემადგენლობაში არ იყო დიდი ბორის პაიჭაძე).

გოლი ამჯერად გამყრელიძემ გაიტანა ჩვენი შესანიშნავი მეკარის ვ. მარღანიას კარში. დიდებულად იცავდა კარს იმ დღეს მისი „ვიზავიც“ ვ. ჟმელკოვი და შემთხვევითი არაა, რომ მატჩის ანგარიში „ლელოში“ დასათაურებული იყო: „მეკარის ბრწყინვალე თამაში“.

შემდეგ შეხვედრაში სპარტაკელებს კვლავ მძიმე გამოცდა ელოდათ ერევანში (9 სექტემბერს).

საქმე ის იყო, რომ სამი კვირით ადრე ერევანში მატჩი გამართა თბილისის „დინამომ“ და მძიმე ბრძოლაში გამარჯვებაც მოიპოვა (1-0). განაწყენებულმა მაყურებლებმა შური იძიეს მოთამაშეებზე, რომლებიც ძლივს გადაურჩნენ გაშმაგებულ ბრბოს.

ამ ინციდენტს დიდი გამოხმაურება ჰქონდა. მოსკოვის განკარგულებით მიიღეს ზომები, რათა მსგავსი რამ აღარ განმეორებულიყო თბილისელთა მეორე გუნდთან შეხვედრისას, მაგრამ ტრიბუნების „პრესის“ დაწოლამ დიდი ზეგავლენა მოახდინა მსაჯობაზე.

– ანგარიში იყო 1-0 მასპინძელთა სასარგებლოდ, თბილისელთა კარში დაინიშნა გაუგებარი პენალტი, მაგრამ, თითქოს გაიხსენა თავისი ახალგაზრდობა, საკვირველმა ჟმელკოვმა მოიგერია მხოიანის ძლიერი დარტყმა. სულ მალე (84-ე წუთზე) ა. ბერძენიშვილმა გაქვითა ანგარიში (როგორ გავიხარეთ!), ბოლო წუთზე კი ლომაიამ გაიტანა მეორე გოლი, რომელიც ჩვენმა ძველმა არაკეთილმოსურნემ — როსტოველმა მსაჯმა შჩელჩკოვმა არ ჩათვალა.

დიდი აღმავლობით ჩაატარეს ბიჭებმა საკუთარ მოედანზე მატჩი ლენინგრადის „დინამოსთან“ (16 სექტემბერი). ავთო პაიჭაძემ 2, არონშიძემ და ბერძენიშვილმა პირდაპირ შემუსრეს მოწინააღმდეგის კარი — 4-0! მახსოვს, ამ დღეს შესანიშნავად ითამაშა ჩვენმა მეკარე გივი იოსელიანმა და მაყურებელთა ტაშიც დაიმსახურა.

შემდეგი თამაში ჩვენებს მრისხანე ცდკასთან ჰქონდათ (21 სექტემბერი), რომელსაც იმ დროისათვის უკვე განაღდებული ჰქონდა ჩემპიონობა. თბილისელებს მიჰყავდათ ანგარიში 1:0 (ი.ბურჭულაძე), შემდეგ აგებდნენ, საბოლოოდ კი ფრეს მიაღწიეს 2-2 (მეორე გოლი ა. ხურციძემ გაიტანა).

ასეთივე ანგარიშით 2-2 დამთავრდა ჩემპიონატის ბოლო მატჩი რიგის „დაუგავასთან“ (თბილისი, 26 სექტემბერი), რომლის წინაც შეიქმნა საკმაოდ პიკანტური სიტუაცია. წაგების შემთხვევაში „დაუგავა“ ტოვებდა „ა“ კლასს, ხოლო თუ თამაში ფრედ დამთავრდებოდა, მაშინ „ბ“ კლასში ერევნის „დინამო“ გადავიდოდა.

პირველ ტაიმში ჩვენების ელვისებური კომბინაცია ი. ბურჭულაძის ბრწყინვალე დარტყმით დაგვირგვინდა, ხოლო მეორე ტაიმის დასაწყისში გამყრელიძე აღმოჩნდა მთლად ცარიელი კარის წინ — 2-0. დარჩენილ დროში რიგელებმა გაქვითეს ორივე გოლი.

ერევნელებთან ერთად „ა“ კლასი დატოვეს ცნობილმა გუნდებმა: მოსკოვისა და ხარკოვის „ლოკომოტივმა“, მინსკის „დინამომ“, სტალინგრადის „ტორპედომ“, ბაქოს „ნეფტიანიკმა“. იმ გუნდებს შორის, რომლებსაც გაასწრო „სპარტაკმა“, იყვნენ აგრეთვე მოსკოვის „ტორპედო“ და კიევის „დინამო“.

„სპარტაკის“ საბოლოო შედეგები ასეთი გახლდათ: 14 მოგება, 9 ფრე, 13 წაგება (ბურთების შეფარდება 50-53) ჯამში — 37 ქულა და მე-9 ადგილი. შედარებისათვის — თბილისის „დინამოს“, რომელმაც გათამაშებაში მე-3 ადგილი დაიკავა, შესაბამისად ჰქონდა 20 მოგება, 7 ფრე, 9 წაგება. ბურთების შეფარდება 78-50, 47 ქულა.

„სპარტაკის“ შედეგები სამართლიანად შეაფასეს, როგორც ახალბედა გუნდისა და მისი მწვრთნელის ა. ჟორდანიას დიდი წარმატება.

მაგრამ გამოირკვა, რომ ჯერ ყველაფერი არ იყო დამთავრებული! გადაღლილ გუნდს ფრიად უსიამოვნო სიურპრიზი ელოდა: ჩვენი სპორტკომიტეტის „ბრძნული“ გადაწყვეტილებით მას კიდევ 2 მძიმე ე.წ. „გადასასვლელი“ თამაშის ჩატარება მოუხდა საქართველოს ჩემპიონთან — თბილისის „ოფიცერთა სახლის გუნდთან. წაგების შემთხვევაში „სპარტაკი“ არა მარტო „ა“, არამედ „ბ“ კლასის მიღმაც კი რჩებოდა. მეტი უაზრობის წარმოდგენა ძნელია. მაგრამ ეს ჯებირიც გადალახული იქნა: 0-0 და 1-0.

რამ განაპირობა „სპარტაკის“ ახალგაზრდული კოლექტივის ესოდენ დიდი წარმატება საბჭოთა ფეხბურთის ისტორიის ამ ერთ-ერთ ყველაზე ძნელ, მარათონულ ჩემპიონატში?

ცხადია, აქ თავისი როლი შეასრულა სხვადასხვა პოზიტიური ფაქტორების კომპლექსმა: მწვრთნელის — ა. ჟორდანიას სტრატეგიულმა სიბრძნემ, ტაქტიკურმა ალღომ, შეუცდომელმა ინტუიციამ, რამაც შეაძლებინა მას მოკლე დროში შეექმნა ასეთი ბრძოლისუნარიანი, მაღალი სათამაშო კონდიციებისა და საკუთარი ხელწერის მქონე გუნდი.

მთავარი კი მაინც იყო ამ არაჩვეულებრივად შეწყობილი მონოლითური კოლექტივის წევრების — მოთამაშეების უდიდესი მონდომება, თავდაუზოგავობა, მობილურობა, შეერთებული საკმაო ტექნიკურ ოსტატობასთანაც.

მოკლედ დავახასიათოთ გუნდის წამყვანი მოთამაშეები, რომელთაც თავიანთი მხრებით ზიდეს 1949-50 წლების საფეხბურთო სეზონების მთავარი ტვირთი.

მეკარე ვ. ჟმელკოვის შესახებ ზემოთ არაერთგზის მქონდა საუბარი. 1950 წ. ამ „ბებერი ლომის“ წვლილი გუნდის წარმატებაში ძალზე დიდი იყო. სამწუხაროდ, უკვე მომდევნო სეზონში მან საგრძნობლად უკლო თამაშს. ასაკი და ალკოჰოლი თავისას შვრებოდა.

მაღალი საფეხბურთო კულტურით და ამავე დროს, შეუპოვრობით გამოირჩეოდა განაპირა მცველი იური კატანოვი. იგი წარმატებით უმკლავდებოდა განთქმულ მეტოქე ფორვარდებს.

ათლეტური აღნაგობის ცენტრალური მცველი, ივანე შუდრა საუკეთესო თამაშებში მაგონებდა ძველი „დინამოს“ შესანიშნავ ცენტრალურ მცველს ბორის ფროლოვს. კარგად თამაშობდა თავით, ზუსტად ირჩევდა პოზიციას. ორთაბრძოლაში თავდადებული, იგი დაცვის ნამდვილი ბურჯი გახლდათ.

იხ. მე-4 გვ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №19, 22.

წარმოგიდგენთ ფინალისტებს ● „B“ ჯგუფი

UEFA EURO 96 England

1. ესპანეთი

● ქვეყნის სამეფო ფეხბურთის ფედერაცია ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში შეიქმნა, მაგრამ მან ჩამოყალიბებული სახე მიიღო — 1905 წელს.

● ფიფას წევრია 1913 წლიდან.

● სათამაშო ფორმა: მაისურები — წითელი, ტრუსები — ლურჯი, გეტრები — შავი, წითელ-ყვითლით გაწყობილი.

● პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა 1920 წელს ოლიმპიურ თამაშებში დანიის ნაკრებთან — 2-0.

● კონტინენტის პირველობაში მონაწილეობს 1960 წლიდან.

1960 წელი. 1/8 ფინალი: პოლონეთთან — 3-0, 4-2

1/4 ფინალი: სსრკ-სთან — გუნდი არ გამოცხადდა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო.

1964 წ. 1/16 ფინალი: რუმინეთთან — 6-0, 1-3

1/8 ფინალი: ჩრდ. ირლანდიასთან — 1-1, 1-0

1/4 ფინალი: ირლანდიასთან — 5-1, 2-0

1/2 ფინალი: უნგრეთთან — 2-1

ფინალი: სსრკ-სთან — 2-1 (პერედა, მარსელინო); — ირიბარი, რივილია, კალიეხო, ზოკო, ოლიველია, ფუსტე, ამანსიო, პერედა, მარსელინო, სუარესი, ლაპეტრა.

იერრო

1968 წ. შ. ც. ირლანდიასთან — 0-0, 2-0. ჩეხოსლოვაკიასთან — 0-1, 2-1. თურქეთთან 0-0, 2-0.

1/4 ფინალი. ინგლისთან — 0-1, 1-2.

1972 წ. შ. ც.: ჩრდ. ირლანდიასთან — 3-0,. 1-1, სსრკ-სთან — 1-2, 0-0. კვიპროსთან — 2-0, 7-0. ქვეჯგუფში — მეორე ადგილი.

1976 წ. შ. ც. : დანიასთან — 2-1, 2-0. შოტლანდიასთან — 2-1, 1-1. რუმინეთთან — 0-0, 2-2.

1/4 ფინალი: გფრ-თან — 1-1, 0-2.

1980 წ. შ. ც. იუგოსლავიასთან — 2-1; 0-1. რუმინეთთან — 2-2, 1-0. კვიპროსთან — 5-0, 3-1.

ფინალური ციკლი: იტალიასთან — 0-0, ბელგიასთან — 1-2. ინგლისთან — 1-2, ქვეჯგუფში — მეოთხე ადგილი.

1984 წ. შ. ც. : ისლანდიასთან — 1-0, 1-0. ირლანდიასთან — 3-3, 2-0. ჰოლანდიასთან — 1-0, 1-2. მალტასთან — 3-2, 12-1.

ფ. ც.: რუმინეთთან — 1-1. პორტუგალიასთან — 1-1, გფრ-სთან — 1-0.

ნახევარფინალი: დანიასთან — 1-1, პენალტებით — 5-4.

ფინალი: საფრანგეთთან — 0-2.

1988 წ. შ. ც.: რუმინეთთან — 1-0, 1-3. ავსტრიასთან — 3-2, 2-0. ალბანეთთან — 2-1, 5-0.

ფ. ც. დანიასთან — 3-2, იტალიასთან — 0-1, გფრ-სთან — 0-2. ქვეჯგუფი — მესამე ადგილი.

1992 წ. შ. ც.: ჩეხოსლოვაკიასთან — 2-3, 2-1. საფრანგეთთან — 1-3, 1-2. ისლანდიასთან — 2-1, 0-2. ალბანეთთან — 9-0, ქვეჯგუფში — მესამე ადგილი.

1996 წ. შ. ც.: კვიპროსთან — 2-1 (იგერა, ავტოგოლი), 6-0 (გერერო, ალფონსო, პიცი — 2, იერრო, კამინერო), მაკედონიასთან — 2-0 (ხ. სალინასი — 2), 3-0 (კიკო, მანხარინი, კამინერო), დანიასთან — 3-0 (ნადალი, დონატო, ლუის ენრიკე). 1-1 (იერრო), ბელგიასთან — 4-1 (იერრო, დონატი, ხ. სალინასი, ლუის ენრიკე). 1-1 (გერერო), სომხეთთან — 2-0 (ამავისკა, გოიკოეჩეა), 1-0 (იერრო). ქვეჯგუფში — პირველი ადგილი.

სულ შესარჩევ და ფინალურ ტურნირებში ითამაშა 80 მატჩი: მოიგო 45, ფრედ დაამთავრა 17; წააგო 18 შეხვედრა. ბურთების შეფარდება 160-74.

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ხავიერ კლემენტემ დაასახელა თავისი გუნდის სრული შემადგენლობა, რომელიც ფინალურ ციკლში იასპარეზებს.

მეკარეები: ანდონი სუბისარეტა — 1961 წ. 23 ოქტომბერი. „ვალენსია“, 105 მატჩი, სანტიაგო კანისარესი — 1969 წ. 18 თებერვალი. „რეალი“ მადრიდი. 9. მოლინა — „ატლეტიკო“ მადრიდი.

მცველები: ალბერტ ფერერი — 1970 წ. 6 ივნისი. „ბარსელონა“. 27. აბელარდო ფერნანდესი — 1970 წ. 19 მარტი. „ბარსელონა“. 24 (2). სერხი ბარხუანი — 1971 წ. 28 დეკემბერი. „ბარსელონა“. 18 (1). მიგელ-ანხელ ნადალი — 1966 წ. 28 ივლისი. „ბარსელონა“ 29(2). ხორხე ოტერო — 1969 წ. „ვალენსია“. ალბერტო ბელსუე — 1968 წ. 2 მარტი. „რეალ სარაგოსა“. 11. რაფაელ ალკორტა — 1968 წ. 16 სექტემბერი. „რეალი“ მადრიდი. 35.

ნახევარმცველები: ფერნანდო იერრო — 1968 წ. 23 მარტი. „რეალი“ მადრიდი. 40(11). ხოსე ემილიო ამავისკა — 1971 წ. 19 ივნისი. „რეალი“ მადრიდი. 10 (1). ლუის ენრიკე — 1970 წ. 8 მაისი. „რეალი“ მადრიდი. 21 (3). გილერმო ამორი — „ბარსელონა“. ხულენ გერერო — 1974 წ. 7 იანვარი „ატლეტიკ“ ბილბაო 21 (7). დონატო — 1962 წ. 30 დეკემბერი. „დეპორტივო“ ლა-კორუნია. 10 (3). ხავიერ მანხარინი — 1969 წ. 31 დეკემბერი. „დეპორტივო“ ლა-კორუნია 5 (1). ხოსე კამინერო — 1967 წ. 8 ნოემბერი. „ატლეტიკო“ მადრიდი 18 (7).

თავდამსხმელები: ხუან-ანტონიო პიცი — 1968 წ. 7 ივნისი. „ტენერიფე“. 10 (4). ალფონსო პერესი — 1972 წ. 26 სექტემბერი. „რეალი ბეტისი“. 10 (2). კიკო ნარვაესი — 1972 წ. 26 აპრილი. „ატლეტიკო“ მადრიდი 7(2). ხულიო სალინასი — 1962 წ. 11 სექტემბერი. „სპორტინგი“ ხიხონი. 54 (22).

„B“ ჯგუფში ესპანელთა მეტოქენი და მათი შეხვედრების თარიღები.

9 ივნისი. ლიდსი. „ელანდ როუდი“ — ბულგარეთი

15 ივნისი. ლიდსი. „ელანდ როუდი“ — საფრანგეთი.

18 ივნისი. ლიდსი. „ელანდ როუდი“ — რუმინეთი.

ესპანეთის ეროვნული ნაკრები.

ესპანელი ფეხბურთელები ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე გავიდნენ ევროპის ჩემპიონატის ფინალში, კონტინენტის ჩემპიონები — დანიელები ქვეჯგუფში მათ მთელი 5 ქულით ჩამოიტოვეს. კომენტატორები იმასაც აღნიშნავენ, რომ მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატშიც ესპანეთის ნაკრებმა ასევე საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა. ერთი სიტყვით, მწვრთნელ ხავიერ კლემენტეს ჩინებული რეპუტაცია აქვს.

სინამდვილეში კი, როგორც თვით ხ. კლემენტე აცხადებს, მას არც ისე კარგად აქვს საქმე. ადრე, კერძოდ, ევროპის ჩემპიონატის წინ დაგეგმილი ჰქონდა საკონტროლო მატჩების მთელი სერია, შემდეგ კი იძულებული გახდა ყველა ეს შეხვედრა გაეუქმებინა და დატოვა მხოლოდ ორი თამაში ნორვეგიელებთან. რატომ?

საქმე ის არის, რომ 1995 წლის ზაფხულში ესპანეთის ფეხბურთში დიდი შეხლა-შემოხლა მოხდა. ფედერაცია და კლუბები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ფედერაციას პირველი ლიგის მონაწილე გუნდების შემცირება უნდოდა, მაგრამ ეს ბრძოლა პირწმინდად წააგო და ჩემპიონატში კლუბების რიცხვი, პირიქით, 20-დან 22-მდე გაიზარდა. ასეთი გაწელილი ჩემპიონატი, თუ ნაკრების ამხანაგურ მატჩებსაც დავუმატებთ, ფეხბურთელებს ევროპის პირველობის წინ საბოლოოდ გამოაცლიდა ძალას. რა გაეწყობოდა, კლემენტე უნდა დამორჩილებოდა ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ ის კი გააკეთა, საკონტროლო მატჩების რიცხვი ორამდე დაიყვანა. ასეთი გაანგარიშებით მას საშუალება ექნებოდა 26 მაისისათვის თავი მოეყარა ნაკრების მოთამაშეებისთვის ინგლისში გამგზავრებამდე ორი კვირით ადრე.

ნორვეგიელებთან ეს უკანასკნელი რეპეტიცია 26 აპრილს შედგა ოსლოში და ფრედ (0-0) დასრულდა. ესპანელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: სუბისარეტა, ბელსუე, აბერალდო, ნადილი, ფერერი, მანხარინი, იერრო (დონატო), ამორი (მოლინა), ლუის ენრიკე (ალფონსო), გერერო (კიკო), პისი.

აი, რა თქვა შეხვედრის შემდეგ ნორვეგიელთა მწვრთნელმა ეგილ ოსლენმა: „ძალიან კმაყოფილი ვარ დღევანდელი შედეგით, ჩვენ ხომ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან ფრედ ვითამაშეთ. გულახდილად გეტყვით, არ მეგონა, რომ ჩემი მოთამაშეები ინიციატივას მოიპოვებდნენ ესპანელებთან, მაგრამ სწორედ ასე მოხდა მეორე ტაიმში, როცა რამდენიმე კარგი მომენტი შევქმენით“.

მიმომხილველებმა ყურადღება მიაქციეს ერთ მომენტს. კლემენტემ შესაძლოა იხუმრა, როცა მეორე ტაიმის ბოლო 13 წუთს თავდასხმაში გამოიყვანა მადრიდის „ატლეტიკოს“ ცნობილი... მეკარე მოლინა. შეიძლება ეს მრავალრიცხოვანი მწვრთნელებისთვის თვალის ახვევის მიზნით გააკეთა, რომლებიც ამ მატჩზე ოსლოში ჩამოვიდნენ.

კლემენტეს ამჟამად ცუდი ურთიერთობა აქვს ესპანეთის წამყვანი კლუბების მწვრთნელებთან, რომლებიც მას აბრალებენ ძალისმიერ, ესპანური ფეხბურთისთვის უცხო სტილზე აქცენტის აღებას, რომ იგი იწუნებს ტექნიკურ მოთამაშეებს და მათ თავგამოდებულ „მეომრებს“ ამჯობინებს. კლემენტე თავს იცავს, ამბობს, რომ ბრალდება აბსურდულია, ბოლოს და ბოლოს, იგი თვით იყო ტექნიკური მოთამაშე. კიდევ ერთი ბრალდება — მწვრთნელი ნაკრებში არ იწვევს მადრიდის „რეალის“ ახალგაზრდა ვარსკვლავს რაულსა და „ბარსელონაში“ დიდად დაწინაურებულ ჭაბუკს ივან დე ლა პენიას. „რეალისა“ და „ბარსელონას“ მესვეურების შეგონებაზე, რომ ერთიცა და მეორეც დიდად გამოადგებოდა ნაკრებს, კლემენტემ ცივად უპასუხა — ისინი უფრო ატლანტის ოლიმპიადაზე გამოდგებიანო. ეს მაშინ, როცა კლემენტეს მაინცდამაინც არ უქებენ თავდასხმის ხაზს, რაული კი ესპანეთის ჩემპიონატში მშვენივრად თამაშობდა, სწორედ ამის გამო იყო, რომ შარშან მადრიდის „რეალი“ დატოვა აქაური გულშემატკივრების ადრინდელმა კერპმა ემილიო ბუტრაგენიომ, ახლა კი გუნდიდან მიდის მისი ყოფილი №1 სნაიპერი ივან სამორანო. მაგრამ, როგორც ესპანელი ჟურნალისტები ამბობენ, კლემენტე იმიტომაც არის კლემენტე, რომ იგი არავის უსმენს და მხოლოდ საკუთარ გზას მიჰყვება.

ენრიკე

კარს უკვე არაერთი სეზონის მანძილზე იცავს ფრიად გამოცდილი სუბისარეტა, რომელიც თავის დროზე ბრწყინავდა „ბარსელონაში“, შემდეგ კი, კრუიფის მიერ განხორციელებული გუნდის მორიგი „გაახალგაზრდავების“ შედეგად, „ვალენსიაში“ გადავიდა და დღემდე რჩება ესპანეთში უძლიერესად. მთელი სეზონის მანძილზე მადრიდის „ატლეტიკოში“ მშვენივრად თამაშობდა მოლინა, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, ამას წინათ ნაკრებში დებიუტი ჰქონდა... თავდამსხმელის როლში!

დაცვა თამაშობს მკაცრად, ზუსტად იცავს მწვრთნელის მითითებებს. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ მან გაუშვა ყველაზე ნაკლები გოლი (სულ ოთხი!) ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფების ნებისმიერ სხვა მონაწილესთან შედარებით. კლემენტეს ავისმსურველები იმასაც ამბობენ, რომ ესპანელებს შედარებით იოლ მეტოქეებთან უხდებოდათ თამაში. აქ, ისევე, როგორც შუა ხაზზე, ძირითადად „რეალისა“ და „ბარსელონას“ ფეხბურთელები გამოდიან. გულშემატკივრები კარგად იცნობენ ისეთ ოსტატებს, როგორც ნადალი, ფერერი, [illegible] რო არიან. მიმომხილველთა აზრით, კარგი სეზონი ჰქონდა მადრიდის „რეალის“ ახალგაზრდა შემტევ ნახევარმცველს ლუის ენრიკეს.

ალბათ, ყველაზე მეტ დავას მაინც თავდასხმის საკითხი იწვევს. კლემენტე ყოველთვის დიდად სწყალობდა ვეტერან სალინასს, მაშინაც კი, როცა მთლიანად ვარსკვლავებისგან შემდგარ „ბარსელონაში“ მას თითქმის არ უწევდა თამაში. ხიხონის „სპორტინგში“ გადასულ სალინასს, რომელიც ესპანელ გულშემატკივრებს უყვართ თავდადებული შეუპოვარი თამაშისთვის, წლები კი მოემატა, მაგრამ გუნდში სისტემატურად გამოსვლის საშუალება მიეცა და ნაკრებშიც ურიგოდ არ გამოიყურება, ასეა თუ ისე, იგი მეოთხეა ესპანეთის ლიგის საუკეთესო სნაიპერთა შორის (სერბი მიატოვიჩისა და ბრაზილიელი ბებეტოს ჩათვლით), მხოლოდ „ტენერიფეს“ სნაიპერ პისის ჩამორჩება და, თითქოს ხავიერ კლემენტეს სიტყვებს ამართლებსო. უსწრებს რაულს. პისიმ მწვრთნელის პატივისცემა დაიმსახურა თუნდაც იმით, რომ ლიგის უპირველესი სნაიპერი გახლავთ (29 ბურთი).

ვნახოთ რას მოუტანს კლემენტეს მთელი იმედების ვეტერანებზე დამყარება. თვით მწვრთნელი ფრთხილობს, არც რაიმე მეტისმეტად ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებს. „ესპანეთში ბევრი ბულგარელი და რუმინელი ფეხბურთელი გამოდის, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეტოქეებს კარგი ინფორმაცია ექნებათ ჩვენს შესახებ“. კლემენტემ მაღალი შეფასება მისცა საფრანგეთის ნაკრებს, ჯგუფის მთავარ ფავორიტად მიაჩნია იგი და დასძინა, რომ მძიმე ბრძოლა ელის ბულგარელებთანაც და რუმინელებთანაც.

რაც შეეხება მიმომხილველების დიდ უმრავლესობას, ისინი, ესპანელი მწვრთნელებისგან განსხვავებით, რომლებიც კლემენტეს კრიჭაში უდგანან, თვლიან, რომ ნაკრები ინგლისში კარგად გამოვა. ყოველ შემთხვევაში, იგი ფრანგებთან ერთად უნდა გავიდეს მეოთხედფინალში.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **რუმინეთის** თასის გათამაშების ფინალში ბუქარესტის „სტიაუამ“ ანგარიშით 3-1 დაამარცხა ბისტრიცეს „გლორია“ და მეთვრამეტედ მოიპოვა საპატიო პრიზი. თუ გავიხსენებთ, რომ „სტიაუამ“ სულ ახლახან რუმინეთის ჩემპიონობაც მოიგო (ესეც მეთვრამეტედ), მისი ეს „დუბლი“ აშკარად მეტყველებს გუნდის საუკეთესო სპორტულ ფორმაზე.

● **ათენის** აეკ-მა საბერძნეთის თასის გათამაშების თავისებური რეკორდი დაამყარა ფინალურ მატჩებში. მან ანგარიშით 7-1 დაამარცხა „აპოლონი“ და მოიპოვა პრიზი. ერთი ბურთი ამ თამაშში გაიტანა ქართველმა ფეხბურთელმა თ. ქეცბაიამ.

● **ფლორენციელ** ფანატიკოსთა ერთმა ჯგუფმა სათანადო თანხა გადაიხადა და კურდღლის თანავარსკვლავედის ერთ-ერთ ვარსკვლავს დაარქვა „ფიორენტინის“ კაპიტნის გაბრიელ ომარ ბატისტუტას სახელი.

● **საბერძნეთის** ფეხბურთის ფედერაცია დროებით გაირიცხა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შემადგენლობიდან იმის გამო, რომ ბიუროკრატიული მიზეზებით პარლამენტში ჯერ კიდევ არ დაუმტკიცებიათ 1994 წლის ნოემბერში მიღებული წესდება. ფიფას წესებით ასეთ შემთხვევაში ფედერაცია კანონგარეშედ ითვლება თავის ქვეყანაში. ფიფას სპიკერმა კეიტ კუპერმა განაცხადა, რომ ეს სასჯელი ბერძენთათვის გაკვეთილად უნდა იქცეს საპარლამენტო პრობლემის სასწრაფოდ გადასაწყვეტად.

● **სამხრეთ კორეის** ნაკრებმა თავის მინდორზე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა შვეციის ეროვნულ გუნდთან. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2-0.

● **შვეიცარიის** ჩემპიონატში პირველი 3 ადგილი ასე განაწილდა: „გრასჰოპერსი“, „სიონი“, „ქსამაქსი“.

● **იუგოსლავიის** თასის ფინალში „ცრვენა ზვეზდამ“ ორივე შეხვედრა მოუგო „პარტიზანს“ — 3-0 და 3-1.



მაიკლ ჯორდანი — მეოთხედ!

95-96 წლების სეზონში ნბა-ს საუკეთესო მოთამაშედ (ყველაზე სასარგებლო კალათბურთელად) დასახელებულია „ჩიკაგო ბულზის" მცველი მაიკლ ჯორდანი. გამოკითხვაში მონაწილეობდა 113 ამერიკელი ჟურნალისტი. საყურადღებოა, რომ ჯორდანს ამ რეფერენდუმში, ფაქტობრივად, არ აღმოაჩნდა კონკურენტი. მას ხმა მისცა გამოკითხულთა 96,5 პროცენტმა. ადრე ხმების აბსოლუტური რეკორდი ლერი ბიორდს ეკუთვნოდა — 93,6 პროცენტი.

რეგულარული ჩემპიონატის შედეგებით ჯორდანი მერვედ გახდა ნბა-ს საუკეთესო სნაიპერი (30,4 ქულა საშუალოდ ერთ მატჩში) და ამ მაჩვენებლით გაუსწრო უილტონ ჩემბერლენს, რომელიც შვიდჯერ იყო საუკეთესო სნაიპერი. ჯორდანის დიდი დამსახურებაა ისიც, რომ „ჩიკაგომ" წლეულს დაამყარა ნბა-ს უნიკალური რეკორდი —რეგულარული ჩემპიონატის 82 მატჩში 72 გამარჯვება მოიპოვა. ამას გარდა „ჩიკაგო" წლეულს სხვა საპატიო ტიტულებსაც იხვეჭს, რაშიც ჯორდანს ლომის წილი ეკუთვნის: წლის საუკეთესო მწვრთნელად დასახელებულია „ჩიკაგოს" თავკაცი ფილ ჯექსონი, საუკეთესო მეექვსე ნომრად — ტონი კუკოჩი. საუკეთესო მცველთა პირველ ხუთეულში, ასევე „ჩიკაგოს„ სამი კალათბურთელია შეყვანილი — ისევ ჯორდანი, სკოტი პიპენი და დენის როდმანი.

გთავაზობთ წლევანდელი ანკეტის საბოლოო შედეგს (საუკეთესო მოთამაშეთა პირველ ათეულს).

1. მაიკლ ჯორდანი („ჩიკაგო") — 1114 ქულა
2. დევიდ რობინსონი („სან-ანტონიო") — 574
3. ანფერნი ხარდუეი („ორლანდო") — 360
4. ხაკიმ ოლაჯიუვონი („ჰიუსტონი") — 238
5. სკოტი პიპენი („ჩიკაგო") — 226
6. გერი პეიტონი („სიეტლი") — 98
7. კარლ მელოუნი („იუტა") — 85
8. შონ კემპი („სიეტლი") — 73
9. გრანტ ჰილი („დეტროიტი") — 63
10. შაკილ ონილი („ორლანდო") — 63

დასახელებულები იყვნენ აგრეთვე: ჯონ სტოკტონი („იუტა") —12, ჩარლზ ბარკლი („ფინიქსი") — 8, მეჯიკ ჯონსონი („ლეიკერსი") — 8, ალონზო მოურნინგი („მაიამი") — 6, დენის როდმანი („ჩიკაგო") — 4, ტერელ ბრენდონი („კლივლენდი") — 3 და მიტჩ რიჩმონდი („საკრამენტო") — 3.

რამდენიმე სიტყვა ძველებზეც. ნბა-ს საუკეთესო მოთამაშის ტიტული ყველაზე მეტჯერ მოპოვებული ჰქონდა ქარიმ აბდულ ჯაბარს— 6. ხუთჯერ იყო პრიზის მფლობელი ბილ რასელი, ოთხჯერ — უილტონ ჩემბერლენი და როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაიკ ჯორდანი. საპატიო ჯილდოს სამ-სამჯერ ფლობდნენ მეჯიკ ჯონსონი, ლერი ბიორდი და მოზეს მელოუნი.

ჩვენი სიყრმის საყვარელი გუნდი — თბილისის „სპარტაკი"

(მეორე გვერდიდან).

მის შედარებით სუსტ მხარეს ტექნიკური მომზადება შეადგენდა.

„სპარტაკის" წარმატებებს დიდად განსაზღვრავდა ნახევარდაცვის ძლიერი, კომპაქტური ხაზი, სადაც გამოირჩეოდნენ პერსონალური მეურვეობის ოსტატი — ტექნიკური და მოხდენილი არჩილ კილაძე, ჩაუსკვნელი, შრომისმოყვარე ნიკოლოზ გაგნიძე და გუნდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოთამაშე —მუხლმოუღლელი, უნივერსალური ტიპის ფეხბურთელი მერაბ გამყრელიძე (გულშემატკივრები და თანაგუნდელები მას სიყვარულით „ჩიკლიკას" ეძახდნენ).

შემტევი ნახევარმცველის ფუნქციას კარგად ასრულებდა თემო გუგუნავა.

თავდასხმის უცილობელი ლიდერი იყო ავთანდილ პაიჭაძე. იგი გარეგნობითაც და რამდენადმე თამაშის მანერითაც, კერძოდ, ბურთის მოხდენილი ტარებით გვაგონებდა უფროს პაიჭაძეს, გამოირჩეოდა საფეხბურთო ალღოთი და მკვეთრი, ზუსტი დარტყმით.

გუნდის ნამდვილი ბომბარდირი, ანუ, როგორც ახლა იტყვიან ხოლმე, გოლეადორი, ძალზე სწრაფი, ცქვიტი და მოქნილი, იგი დასწრებაზე თამაშის შესანიშნავი ოსტატი იყო.

კიდევ ერთი საგულისხმო თვისება გამოარჩევდა ავთოს. ეს გახლავთ ე.წ. უბურთოდ თამაში. მან შესანიშნავად იცოდა თავისუფალ ადგილზე გასვლა, სადაც დაუბრკოლებლივ იღებდა ხოლმე ბურთს და უმალ ერთვებოდა იერიში. ამ თვისებებით მას ბევრად უფრო გვიან ძალიან მაგონებდა ჩვენი განთქმული ფორვარდი რამაზ შენგელია.

ა. პაიჭაძის საფეხბურთო კარიერის მწვერვალი უდავოდ იყო 1950 წლის სეზონი და მისგან სამომავლოდ კიდევ მეტსაც მოველოდით. მაგრამ ძალზე არაგონივრულმა გადაწყვეტილებამ, მომდევნო სეზონში იგი „დინამოში" რომ გადაიყვანეს, ფაქტიურად, წერტილი დაუსვა 26 წლის ფორვარდის დიდ ფეხბურთში გამოსვლას.

„დინამოს" შემადგენლობაში მან თითქმის მთელი სეზონი სათადარიგოთა სკამზე გაატარა და შემდგომ, როგორც ჩანს, ხალისიც დაკარგა მინდორზე გამოსვლისა. იგი ძალიან დააკლდა ქართულ ფეხბურთს, „სპარტაკისათვის" კი ავთოს გუნდიდან წასვლა მართლაც რომ საბედისწერო აღმოჩნდა.

ა. პაიჭაძესთან ერთად თავდასხმაში გამოირჩეოდნენ გუნდის კაპიტანი ვალერიან ლომაია და კარლო გაგნიძე.

ვ. ლომაია კოლექტივის ნამდვილი თავკაცი იყო — ფიზიკურად ძლიერი და ნებისყოფიანი, ფლობდა უძლიერეს დარტყმას და ასრულებდა ძალიან დიდი მოცულობის სამუშაოს. თანაბარი წარმატებით თამაშობდა მარცხენა გარემარბისა და შუამარბის ადგილზე.

კ. გაგნიძის „ოქროს ხანა" უკვე შემდგომ სეზონში დადგა, როდესაც იგი „დინამოში" გადავიდა და ზედმიწევნით მოერგო მის კოლექტივს. მაგრამ დიდი იყო მისი წვლილი „სპარტაკში" გამოსვლების წლებშიც. ერთი ყველაზე სწრაფი მოთამაშე ქართული ფეხბურთის ისტორიაში, იგი საგოლე ალღოთიც იყო დაჯილდოებული და ამავე დროს, არასოდეს გაურბოდა „შავ" სამუშაოს.

კომბინაციური ნიჭით და ძლიერი დარტყმით გამოირჩეოდა ი. ბურჯულაძე.

გუნდის ამ ძირითად ბირთვთან ჩინებულად იყვნენ შეთამაშებული ტ. ეპიტაშვილი, ა. ბერძენიშვილი, ა. ბურჯულაძე, რომელთაც 1950 წელს დაემატნენ გამოცდილი ვეტერანები ვ. ბერეჟნოი და გ. აროშიძე და სხვები (ზ. კალოევის შესახებ საუბარი გადავდოთ 1951 წლის სეზონის შედეგების მიმოხილვამდე).

როგორ გამოიყურებოდა 1950 წლის ჩემპიონატის გოლების სტატისტიკა? „სპარტაკის" მიერ გატანილი 50 გოლი შემდეგნაირად განაწილდა: ა. პაიჭაძე — 13 გოლი, კ. გაგნიძე — 6, ვ. ლომაია —5, ი. ბურჯულაძე — 5, გ. აროშიძე — 5, მ. გამყრელიძე — 5, ა. ბერძენიშვილი — 3, ვ. ბერეჟნოი — 2, ს. ნინუა — 1, ი. შუდრა — 1, ა. ხურციძე — 1, ზ. კალოევი — 1, შ. ალფაიძე — 1. ერთი გოლის ავტორი უცნობია (ხარკოვში, ადგილობრივ „ლოკომოტივთან").

ასე დასრულდა 1950 წლის არაჩვეულებრივად მძიმე, დატვირთული, დრამატული პერიპეტიებით აღსავსე ჩემპიონატი.

გულბათ ტორაძე,
პროფესორი.

(გაგრძელება იქნება)

ფორმულა – 1

ფათერაკები მონტე-კარლოში

მოულოდნელი, უფრო სწორად, დაუჯერებელი შედეგით დამთავრდა ორმოცდამეშვიდე „ფორმულა-1-ის" მეექვსე ეტაპი — „მონაკოს გრან-პრი", რომლის ტრასა მონტე-კარლოს ქუჩებში გადიოდა (249,600 კმ. 75 წრე, წრის სიგრძე – 3328 მეტრი). სტარტზე გამოსული 22 პილოტიდან ფინიშის ხაზი გადაკვეთა მხოლოდ სამმა მანქანამ: „ლიჟიე მიუგენ-ჰონდამ", „მაკლარენ-მერსედესმა" და „ზაუბერ-ფორდმა". ადგილებიც სწორედ ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. ოლივიე პანისი (საფრანგეთი) – 2:00.45,629, 2. დევიდ კულტჰარდი (დიდი ბრიტანეთი) – ჩამორჩენა 4, 828, 3. ჯონი ჰერბერტი (დიდი ბრიტანეთი) – ჩამორჩენა 37,503. რბოლა შეჩერდა დისტანციის დამთავრებამდე და ოთხ ავტომობილისტს შედეგები დაუმტკიცდა იმ მომენტში მათი ადგილმდებარეობის მიხედვით.

დანარჩენი პილოტები რბოლას გამოეთიშნენ ზოგი ავარიის, ზოგიც მანქანის დაზიანების გამო. მათ შორის იყვნენ ფავორიტები – მიჰაელ შუმახერი, დემონ ჰილი, ჟან ალეზი, ჟაკ ვილნევი, გერჰარდ ბერგერი და სხვ.

ექვსი ეტაპის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: ჰილი – 43 ქულა, ვილნევი – 22, შუმახერი – 16.

პროფესიულ რინგზე

● მსოფლიოს ექსჩემპიონმა მძიმე წონაში, ინგლისელმა ლენოქს ლუისმა განაცხადა, რომ ოფიციალურად იწვევს საბრძოლველად ამერიკელ რიდიკ ბოუს. ლუისის პრომოუტერის როკ ნიუმენის აზრით, ეს შეხვედრა უფრო სექტემბერში გაიმართება, მანამდე კი (ივლისის შუა რიცხვებში) უნდა დაზუსტდეს როდის შეხვდებიან ერთმანეთს ლუისი და მაიკ ტაისონი.

● 46 წლის მსოფლიოს ექსჩემპიონი მძიმე წონაში ლერი ჰოლმსი ოფიციალურად ანებებს თავს კრივს და ამთავრებს სპორტულ კარიერას. ბოლო ბრძოლას, რომელსაც გადმოსცემს ტელეარხი სი-ბი-ესი, ჰოლმსი ჩაატარებს 16 ივნისს ატლანტიკ-სიტიში 27 წლის ამერიკელის ენტონი უილსის წინააღმდეგ.

79-ე „ჯირო"

წლევანდელი ველორბოლის პირველი სამი ეტაპი საბერძნეთში გაიმართა და მხოლოდ ამის შემდეგ ეწვია იგი იტალიას. მეოთხე ეტაპის (147 კილომეტრი) ტრასა ქალაქ ოსტუნის მიდამოებს მოიცავდა. ფინიშის ხაზი აქ პირველმა იტალიელმა მარიო ჩიპოლინიმ გადაკვეთა 3:31.39. ოთხი ეტაპის ჯამში ველორბოლას სილვიო მარტინელი („საეკო") ლიდერობს. სხვათა შორის იგი დაწინაურებული იყო პირველი ორი ეტაპის შემდეგ, მესამეზე ლიდერობა თანამემამულეს სტეფანიო ბანინის დაუთმო, მეოთხეზე კი დაიბრუნა ლიდერის მაისური.

ინფორმაცია

● ველოსპორტი. ფილიპ გომონმა (საფრანგეთი, „განი") მოიგო მრავალდღიანი ველორბოლა, „ტურ დე ლუაზი", რომელიც წლეულს 51-ედ ჩატარდა. რამდენიმე დღით ადრე ფრანგმა ველოსიპედისტმა პირველი ადგილი დაისაკუთრა პრესტიჟულ რბოლაში — „დიუნკერკის ოთხი დღე".

● მძლეოსნობა. ატლანტაში გამართული ტურნირის მთავარ სენსაციად სპეციალისტები მიიჩნევენ ამერიკელი ვეტერანის კარლ ლუისის ბრწყინვალე გამოსვლას 100 მეტრზე რბენაში. მართალია 34 წლის ლუისს პირველი ადგილი არ მოუგია. მაგრამ სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა. სხვათა შორის, 10 წამზე უკეთესი დრო ერთბაშად ოთხ სპრინტერს ჰქონდა: დენის მიჩელს (აშშ) — 9,93, კარლ ლუისს (აშშ) — 9,94, დონოვან ბეილს (კანადა) — 9,97, ჯონ დრამონდს (აშშ) — 9,98. სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია: 200 მ. მაიკლ ჯონსონი (აშშ) — 19,83; სიმაღლე — ხავიერ სოტომაიორი (კუბა) — 2,33; ჭოკი — სერგეი ბუბკა (უკრაინა) — 6,02 მ; სამხტომი. ჯონათან ედვარდსი (დიდი ბრიტანეთი) — 17,59; ქალები. 100 მ. გვენ ტორენსი (აშშ) — 10,85; სიგრძე. ჯეკი ჯოინერ-კერსი (აშშ) — 7,20; სიმაღლე. კეროლ ჯენკინსი (აშშ) — 1,92.

● ჩოგბურთი. იტალიის ღია ჩემპიონატი ვაჟთა შორის მოიგო თომას მუსტერმა. ფინალში მან რიჰარდ კრაიჩეკს აჯობა — 6:2, 6:4, 3:6, 6:3. ასევე დამთავრდა გერმანიის ღია ჩემპიონატი ქალთა შორის. შტეფი გრაფმა გადამწყვეტ შეხვედრაში აჯობა კარინა ჰაბსუდოვას (4:6, 6:2, 7:5) და ტურნირის მთავარ პრიზს დაეპატრონა.

● მძლეოსნობა. კენიის დედაქალაქ ნაირობში გაიმართა არმიელ მძლეოსანთა ტრადიციული თამაშები, რომელიც სტაიერთა აქტიურობით აღინიშნა. 5000 მ დისტანციაზე მსოფლიო ჩემპიონმა ისმაელ კირუიმ მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავა. პირველი აქ იყო მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი შემ კორორია — 13.24,30. 10 კილომეტრზე რბენა მოიგო პოლ ტერგატმა — 28.19,66.

● ცურვა. აშშ-ს ოლიმპიური ნაკრების მთავარი მწვრთნელის რიჩარდ კუიკას განცხადებით, ოლიმპიელებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა საკონტროლო შეჯიბრებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც ერთი მოცურავე ვერ მიიღებს ატლანტის საგზურს. მწვრთნელმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მსოფლიო რეკორდსმენმა ტომ დოულენმა დაიზიანა ზურგი და შეჯიბრებას გამოეთიშა.

● ცნობილი გერმანელი ჩოგბურთელი, ბორის ბეკერი ბოდიშს უხდის საფრანგეთის ღია ჩემპიონატის („როლან გაროსი") ორგანიზატორებს იმის გამო, რომ ვერ მიიღებს მონაწილეობას შეჯიბრებაში. არადა, ბეკერს სწორედ „როლან გაროსი" მიაჩნდა წლევანდელი სეზონის მთავარ ტურნირად. გამოჩენილი სპეციალისტის ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტის განცხადებით, ბარძაყის არეში მიღებული სერიოზული ტრავმის განკურნებას, სულ მცირე, ორი კვირა დასჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გერმანელი ჩოგბურთელი წვრთნას უიმბლდონის წინ განაახლებს და შესაძლებელია, ვერც კი შეძლოს ფორმაში შესვლა.

კროსვორდი • კროსვორდი • კროსვორდი



თარაზულად: 5. ცხენის გამოსახულება, რომელსაც ადამიანის თავი და მკერდი აქვს, 6. წარსულში ცნობილი იტალიელი ველომრბოლი, 9. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე იტალიელი ფეხბურთელი, მწვრთნელი, 11. მექანიზმის დაზიანება ან შეჯახება ავტორბოლის დროს, 12. „იუვენტუსის" ფეხბურთელი, 14. რუსი ლეგიონერი ფეხბურთელი, 18. დიდი წვეულება, 20. თბილისის ძველი უბანი, 21 სარმა (კუთხურად), 22. „გურიის" საფეხბურთო ბაზის ადგილი, 23. ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი, 24. უკმაყოფილების სიტყვიერად ან წერილობით დაფიქსირება.

შვეულად: 1. გეოგრაფიული ადგილი იაპონიაში, რომლის სახელს ატარებს კარატეს რამდენიმე სტილი, 2. ერთი ხელი თამაში, 3. შეტევა, 4. ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, მწვრთნელი, 7. პოზიცია რაგბიში, 8. ძველებური წიგნი სამკურნალო აღწერილობით, 10. მნათობი, რომელსაც რჩეულ სპორტსმენებს ადარებენ, 12. შეფასება ძიუდოში, 13. თამაში ცხენოსნობაში, 15. სერია B-ში მოთამაშე იტალიის საფეხბურთო კლუბი, 16. ერთადგილიანი ნავი, 17. სოფელი გალის რაიონში, 19. ერთიანები ნარდში, 21. ცნობილი ინგლისელი სპრინტერი ვაყი.

„ლელოს" წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. ფოსბიური, 6. კარტინგი, 8. სტარუხინი, 11. ყაიმი, 14. კანოე, 15.კაუნასი, 16. თრაკია, 17. ფროიდი, 21. „იმერეთი", 22. ჩანგი, 23. „იმედი", 26. კულინარია, 27. მკათათვე, 28. ენდშპილი.

შვეულად: 1. ნომინალი, 2. კულტი, 3. ფრენა, 4 აგრესორი, 7. ჩუბინი, 9. ამსტრონგი, 10. თანადგომა, 12. მარიამი, 13. ასურეთი, 18. პრაქტიკა, 19. არდენი, 20. გლდანელი, 24. ბურთი, 25. ლინდა.

საჭადრაკო ამოცანა

თავისუფალი საქართველოს დროშა — 26 მაისი

რევაზ თავარიანი (თბილისი)



შამათი 2 სვლაში.

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ეთერი მანგოშვილი, ნანი რამიშვილი, მერი წოწორია.